ეკონომიკური ინჟინერინგი პოლიტიკაში, საერთაშორისო ურთიერთობსა და პოლიტოლოგიაში

პოლიტიკური ლიდერობის არსი და ისტორიული საფუძვლები

რამინა ბერიძე
შტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

პოლიტიკური ლიდერი, როგორც კონკრეტული პიროვნება, საყოველთაო, ზოგად მახასიათებლებთან და ნიშნებთან ერთად, ატარებს განსაკუთრებულ, ექსკლუზიურ და სპეციფიკურ ნიშნებსაც. ამიტომ, ყოველი პოლიტიკური ლიდერი წარმოადგენს თავისი ეპოქის პროდუქტს და მას ამ დროის დაღი აზის. მაგ. სტალინი და ჰიტლერი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ დღევანდელ დროში, მიუხედავად იმისა, რომ მათ, განსაკუთრებით სტალინს, დღეს ბევრი ლიდერი ბაძავს ევრაზიის და აფრიკის კონტინენტებზე.

შესაბამისად, დღევანდელი პოლიტიკური ლიდერების საქმიანობა დაღდასმულია გლობალიზაციის ეპოქის ნიშნებით და მახასიათებლებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყნების უმრავლესობას ერთფეროვანი, მკვეთრ პიროვნული მახასიათებლებს მოკლებული პოლიტიკური ლიდერები მართავენ, თუმცა აქა-იქ ჩნდებიან გამონაკლისებიც - მეტ-ნაკლებად ძლიერი პოლიტიკური ლიდერებიც ამა თუ იმ ქვეყანაში.

პოლიტიკური ლიდერი სოციალური ერთობის (დიდი სოციალური ჯგუფის - კლასის, ერის, მთლიანად საზოგადოების) ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენელია, რომლის მიმართ სოციალური ერთობა, მისთვის მნიშვნელოვან სიტუაციებში საპასუხისმგებლო გადაწვეტილებათა მიღების უფლებას ცნობს. ამ შემთხვევაში პოლიტიკური ლიდერი რეალურად ასრულებს მთავარ როლს სოციალური ერთობის ერთობლივი სოციალური და პოლიტიკური მოქმედების ორგანიზებასა და სოციალურ ერთობაში შიდა ურთიერთობათა რეგულირების საქმეში.

საკვანძო ტერმინები: პოლიტიკური ლიდერი, ელიტა, ეროვნული პოლიტიკური ლიდერი, ქარიზმატული ლიდერი, მაკიაველიზმი.

THE ESSENCE AND HISTORICAL FOUNDATIONS OF POLITICAL LEADERSHIP

Rimina Beridze
PhD student of GTU

RESUME

A political leader, as a specific person, along with universal, general characteristics and signs, also carries special, exclusive and specific signs. Therefore, every political leader is a product of his era and he understands this time. e.g. Stalin and Hitler are impossible to imagine in today's time, even though they, especially Stalin, are imitated by many leaders on the continents of Eurasia and Africa today.

Accordingly, the activities of today's political leaders are marked by the signs and characteristics of the era of globalization. This means that the majority of countries are ruled by political leaders who are monotonous and devoid of sharp personal characteristics, although here and there there are exceptions - more or less strong political leaders in this or that country.

The political leader is the most authoritative representative of the social unity (a large social group - class, nation, society as a whole), towards whom the social unity recognizes the right to make responsible decisions in important situations. In this case, the political leader actually plays the main role in the organization of the joint social and political action of the social unity and in the regulation of internal relations in the social unity.

Keywords: Political Leader, Elite, National Political Leader, Charismatic Leader, Machiavellianism

* * * *

ვინ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ ლიდერად? რაში მდგომარეობს ლიდერობის არსი? პოლიტიკური ლიდერობა სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დართული ფენომენია. ცნება "ლიდერი" მომდინარეობს ინგლისური "Leader"-ისგან და ნიშნავს წამყვანს, სხვა ადამიანების მმართველს.[1] ლიდერობა ობიექტური და უნივერსალური მოვლენაა - ლიდერები ვინმეს ნებისგან დამოუკიდებლად ჩნდებიან და ყველა სფეროში მოღვაწეობენ.

პოლიტიკური ლიდერი, როგორც კონკრეტული პიროვნება, საყოველთაო, ზოგად მახასიათებლებთან და ნიშნებთან ერთად, ატარებს განსაკუთრებულ, ექსკლუზიურ და სპეციფიკურ ნიშნებსაც. ამიტომ, ყოველი პოლიტიკური ლიდერი წარმოადგენს თავისი ეპოქის პროდუქტს და მას ამ დროის დაღი აზის. მაგ. სტალინი და ჰიტლერი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ დღევანდელ დროში, მიუხედავად იმისა, რომ მათ, განსაკუთრებით სტალინს, დღეს ბევრი ლიდერი ბაძავს ევრაზიის და აფრიკის კონტინენტებზე.

შესაბამისად, დღევანდელი პოლიტიკური ლიდერების საქმიანობა დაღდასმულია გლობალიზაციის ეპოქის ნიშნებით და მახასიათებლებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყნების უმრავლესობას ერთფეროვანი, მკვეთრ პიროვნული მახასიათებლებს მოკლებული პოლიტიკური ლიდერები მართავენ, თუმცა აქა-იქ ჩნდებიან გამონაკლისებიც - მეტ-ნაკლებად ძლიერი პოლიტიკური ლიდერებიც ამა თუ იმ ქვეყანაში.

პოლიტიკური ლიდერი სოციალური ერთობის (დიდი სოციალური ჯგუფის - კლასის, ერის, მთლიანად საზოგადოების) ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენელია, რომლის მიმართ სოციალური ერთობა, მისთვის მნიშვნელოვან სიტუაციებში საპასუხისმგებლო გადაწვეტილებათა მიღების უფლებას ცნობს.[2] ამ შემთხვევაში პოლიტიკური ლიდერი რეალურად ასრულებს მთავარ როლს სოციალური ერთობის ერთობლივი სოციალური და პოლიტიკური მოქმედების ორგანიზებასა და სოციალურ ერთობაში შიდა ურთიერთობათა რეგულირების საქმეში.

პოლიტიკურ ლიდერზე, განსაკუთრებით ძლიერ პოლიტიკურ ლიდერზე, მოთხოვნა ყოველ დროში იყო - უძველესი საზოგადოებებიდან დაწყებული და პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩათვლით. ეს იმის გამოც ხდებოდა და ხდება, რომ პოლიტიკური ლიდერობა ძირითადად დაკავშირებულია ხელისუფლებრივი ფუნქციის, მართვის განხორციელებასთან. ამერიკელი პოლიტოლოგის ჯ.ბლონდელის აზრით "პოლიტიკური ლიდერობა წარმოადგენს ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე უფრო ზოგად ფორმას.[3] ეს სრულიად ბუნებრივიცაა, განსაკუთრებით დღეს, როცა გართულებულია მართვა, რომ პოლიტიკური ლიდერი ხელისუფლებაში მოსასვლელად და საარჩევნო პროგრამის განსახორციელებლად საჭიროებს ძალაუფლებას და მართვის მექანიზმებს.

ხშირად ერთმანეთთან აიგივებენ ცნებებს "ლიდერი" და "ხელმძღვანელი". სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში მიჩნეულია, რომ პოლიტიკური ლიდერი სპეციფიკური "ბუნებრივი შერჩევის" პროდუქტია. მისი გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე უმეტესწილად სტიქიურად ხდება. ხელმძღვანელი, ლიდერისგან განსხვავებით, შეგნებული, ცნობიერი "შერჩევის" პროდუქტს წარმოადგენს.[4] მისი დანიშვნა ან არჩევა, ანუ ხელისუფლებრივი ფუნქციებით აღჭურვა ხორციელდება მიზანდასახულ ღონისძიებათა შედეგად, სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურების და სახელისუფლო შტოების შესაბამისი ელემენტების კონტროლით. ლიდერობისაგან განსხვავებით, ხელმძღვანელობა სტაბილურ ფენომენს წარმოადგენს და მას კანონით მკაცრად განსაზღვრული უფლება-მოვალეობა ენიჭება, რომლებიც არაფორმალურ პოლიტიკურ ლიდერს (მაგ. ზ.გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლამდე) არ გააჩნია.

თანამედროვე პოლიტოლოგებმა, გაანალიზეს რა XX საუკუნეში ცალკეულ პოლიტიკურ ლიდერთა მიერ არჩეული მართვის სტილი, მათი ავტორიტარული და ანტიდემოკრატიული ტენდენციები (ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი, ფრანკო, მაო-ძე დუნი, დიქტატორული რეჟიმები აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში და ა.შ.), აქცენტები გაკეთეს პოლიტიკური ლიდერის ხელისუფლებრივი სტრუქტურების თვითნებობისაგან საზოგადოების დაცვის მექანიზმის ძიებაზე, სამართლებრივი სახელმწიფოს მოდელის შემუშავებაზე, სადაც "მართავენ კანონები და არა პიროვნებები". დღეს ევროპისა და აშშ-ის დემოკრატები პრიორიტეტს ანიჭებენ ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილ, პასუხისმგებლიან ხელმძღვანელს - პოლიტიკურ (არჩევით) ლიდერს.

ჩვეულებრივ, პოლიტიკური ლიდერი უნდა ფლობდეს შექმნილი სოციალური და პოლიტი-

1 შუბითიძე ვაჟა, ქოჩორაძე ოთარი, პოლიტოლოგია, თბ. 2001 გვ.39.
2 ბუცხრიკიძე ავთანდილ., ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა, ქუთაისი. 2008 გვ.85
3 Blondel J. Political Leadership, N.Y. 1977 p.17
4 პოლიტოლოგიის საკითხები, თსუ, N1, 1992 გვ.38.

კური ვითარების ღრმა ანალიზს უნარს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი; ამას გარდა მას უნდა ჰყავდეს მიმდევრები (ადეპტები), სერიოზული მომხრეები ე.ი. ის საკმაოდ ავტორიტეტული პოლიტიკური მოღვაწე უნდა იყოს. ყოველივე ზემოთქმული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ექება არაოფიციალურ პოლიტიკურ ლიდერებს და მათ მოღვაწეობას.[5]

პოლიტიკური ლიდერობის ფენომენი ჯერ კიდევ ძვ.წ. V-IV საუკუნიდან გახდა ცნობილ მოაზროვნეთა ყურადღების და შესწავლის საგანი. ესენი იყვნენ: "ისტორიის მამა" მიჩნეული ჰეროდოტე[6] (მის ნააზრევში განსხვავება ღმერთებს, გმირებსა და ჩვეულებრივ მოკვდავებს შორის არა თვისებრივი, არამედ რაოდენობრივი ხასიათისაა), თუკიდიდე (ისტორიის კრიტიკულად შესწავლის და გააზრების დამფუძნებელი), ქსენოფონტე (პირველი მწერალ-ისტორიკოსი, ვინც გააიდეალა ისტორიული გმირები), პლუტარქე[7], კვინტუს კურციუს რუფუსი, ტიტუს ლივიუსი, ტაციტუსი, სვეტონიუსი, აპიანე ალექსანდრიელი, პროკოფი კესარიელი და სხვ.

ეს მოაზროვნენი თავიანთ თხზულებებში ძირითადად გამოჩენილი პოლიტიკური ლიდერების - მონარქების, იმპერატორების, მხედართმთავრების, კანონმდებლების მოღვაწეობაზე ჰყვებოდნენ და იგი ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტ ფაქტორად მიაჩნდათ.

ანალოგიური ხედვა გავრცელებული იყო ბიზანტიასა და საქართველოშიც - მაგ: სუმბატ დავითის-ძის "ბაგრატიონთა გვარის ისტორია", ლეონტი მროველის "მეფეთა ცხოვრება", ჯუანშერის "ვახტანგ გორგასლის ისტორია". დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ეხება რა დავით IV-ის განუსაზღვრელი, აბსოლუტური ხელისუფლების ჩარევას ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, აღნიშნავს: "რაოდენნი ვინ აღმოუწყუნეს სიტყვითა უფსრკულისაგან სამეფოსა, რომელთა შინა ვერავინ ძუელთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა"[8] ე.ი. სამეფო ხელისუფლების მოვალეობანი უფსრკულსა ჰგავს, და ვინ უგუნური იქნება, ამ უფსკრულის ძირი იპოვოს და სიღრმე გაზომოსო.

ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა, რჯულშემწყნარებლობა და სხვა არამკვიდრი ერებისადმი პატივისცემა, წინა ეპოქების ცნობილ მხედართმთავართა და მეფეთა გამოცდილების გათვალისწინება სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებისას, სხვადასხვა პოლიტიკურ-რელიგიური და ფილოსოფიური მიმართულების წარმომადგენელთაგან სწავლულთა რაზმის შექმნა, ქვეყანაში განათლებისა და კულტურის დანერგვა, სახელმწიფოში წესრიგის დამყარება და ხელისუფლების პასუხისმგებლობის ამაღლება, ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება, საგარეო და საშინაო პოლიტიკაში პატრიოტულ ძალებზე დაყრდნობა, გვაროვნული წარმოშობის უარყოფა და ნიჭისა და პირადი უნარის მიხედვით ადამიანთა დაფასება, რეალიზმი და პრაგმატიზმი პოლიტიკაში - აი, ის ძირითადი მახასიათებლები, რითაც ხელმძღვანელობდა დავით აღმაშენებელი განათლებული აბსოლუტიზმის იდეებზე დაყრდნობით მრავალეროვანი სახელმწიფოს მოწყობისას.[9]

მართალია გმირების კულტი არც შუა საუკუნეების მოაზროვნეებისთვისაც იყო უცხო, მაგრამ გვხვდება მთელი რიგი სიახლეები, რომელთაგანაც განსაკუთრებით გამოირჩევა აღორძინების ხანის დიდი მოაზროვნის ნიკოლო მაკიაველის (1469-1527წ.წ.) ნააზრევი.[10] მაკიაველის ნაშრომებში პოლიტიკური ლიდერის პიროვნება და როლი ძირითადი საკითხებია და ცენტრალური ადგილი უკავია. მას მთლიანი პოლიტიკური პროცესი არ დაჰყავს მხოლოდ გმირთა ქმედებაზე. მაკიაველის ძირითად თეორიულ ნაშრომებში ("მთავარი", "მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადი გამო", "ომის ხელოვნება") გარდუვალობისა და ღვთაებრივი ბედისწერის ადგილს ობიექტური ისტორიული აუცილებლობა და კანონზომიერების იდეა იკავებს.

აღორძინების ეპოქის პოლიტიკური აზრის ისტორიაში ნიკოლო მაკიაველმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა სახელმწიფო პრობლემისადმი არათეოლოგიურ მიდგომაში. კარლ მარქსი მას მიაკუთვნებდა იმ მოაზროვნეთა რიცხვს, რომლებიც სახელმწიფოს ადამიანური თვალსაზრისით იხილავდნენ და მისი ბუნებრივი კანონები გამოჰყავდათ არა თეოლოგიური დოგმებიდან, არამედ გონებიდან და გამოცდილებიდან.[11]

მსოფლიო პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში პირველმა მაკიაველმა განიხილა პოლიტიკა, როგორც ადამიანური მოღვაწეობის ავტონომიური სფერო და სარბიელი, სადაც არსებობენ "ბუნებრივი მიზეზები" და "სასარგებლო წესები" და, რომლებიც პოლიტიკური ლიდერის შესაძლებლობათა გათვა-

5 ბუცხრიკიძე ავთანდილ, ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა, ქუთაისი. 2008 გვ.88
6 ჰეროდოტე ისტორია, 2 ტომად, თბ. 1975-76წ.
7 პლუტარქე რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, 2 წიგნად, თბ; 1975
8 პოლიტოლოგიის საკითხები, თსუ, N1, 1992 გვ.160
9 შუბითიძე ვაჟა, ქოჩორაძე ოთარი, პოლიტოლოგია, თბ. 2001 გვ.161
10 ნიკოლო მაკიაველი, მთავარი, თბ; 1984
11 მარქსი კ., ენგელსი ფ. რჩეული ნაწერები, ტ.1 თბ, 1964

ლისწინებით, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების მსვლელობათა წინასწარხედვისა და საჭირო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების საშუალებას იძლევა.

ნიკოლო მაკიაველის კონცეპციის თანახმად ძლიერ პოლიტიკურ ლიდერს უნარი შესწევს ობიექტურად შეაფასოს მდგომარეობა, წინ აღუდგეს ბედისწერას, გაუთვალისწინებელ შემთხვევითობას დაუპირისპიროს თავისი ენერგია და პოლიტიკური გამჭრიახობა და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, სიტუაციის შესაბამისად შეცვალოს პოლიტიკა. ასეთ შემთხვევაში წარმატება უზრუნველყოფილი და კანონზომიერიცაა.[12]

ჩეზარე ბორჯიას დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების და მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ანალიზმა ხელი შეუწყო მაკიაველის ცნობილი თეზისის წარმოშობას- პოლიტიკოსი თავის თავში უნდა აერთიანებდეს ლომისა და მელიის თვისებებს - მელიისა, რათა აიცილოს დაგებული ხაფანგი, ხოლო ლომისა - რათა აშკარა ბრძოლაში შემუსროს და გაანადგუროს მტერი. მაკიაველისავე აზრით სამშობლოსა და სახელმწიფოს დასაცავად ყველა ხერხი მისაღებია: "როდესაც საქმე სამშობლოს ინტერესებს ეხება, თავი შეიკავეთ იმაზე მსჯელობისაგან - სამართლიანია ეს და ეს გადაწყვეტილება თუ უსამართლო, ლმობიერია თუ სასტიკი, საქებია თუ საძრახისი; ანგარიში არ უნდა გავუწიოთ არავითარ თვალსაზრისს და მივიღოთ მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომელიც ხელს უწყობს მისი არსებობისა და თავისუფლების შენარჩუნებას".[13]

მაკიაველს მიაჩნდა, რომ მთავარი (ხელმწიფე) უნდა იყოს "სიტუაციის შექმნის ინიციატორი" მას შემდეგ, რაც იგი ვითარებაათა ცვალებადობის მიხედვით კვალდაკვალ შეცვლის მოქმედების გზასაც და გეზსაც.[14] თანამედროვე პოლიტოლოგების ნაწილი ლიდერს სიტუაციის ტყვედ მიიჩნევს იმის გამო, რომ იგი გამოიმუშავებს იმ თვისებებს, რომლებიც მხოლოდ დროის და სიტუაციის მოთხოვნებს პასუხობს. მაგ. ჰენრი კისინჯერის აზრით "ყოველი სახელმწიფო მოღვაწე ნაწილობრივი აუცილებლობით ტყვეა, დაპირისპირებულია გარემოსთან, რომელიც მას არ შეუქმნია და, რომელიც შექმნილია კონკრეტული ისტორიული პერიოდით და მას არ ძალუძს შეცვალოს იგი".[15]

მაკიაველი, პირიქით, მიიჩნევს, რომ მთავარს შეუძლია მოახდინოს გავლენა გარემოზე და თვლის, რომ ეს შედეგია როგორც მისი მოქმედების პიროვნული საწყისებისა, ასევე განხორციელების მეთოდების შერჩევისა.

ამრიგად, მაკიაველი მთავარში ხედავს შემოქმედსა და სიტუაციის შემქმნელ არსებას და არა გარემოს ტყვეს, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ის მოიმოქმედოს, რის "საშუალებასაც" გარემო იძლევა".[16]

პოლიტიკური ლიდერობის ცალკეული ასპექტების დამუშავება მომდევნო საუკუნეშიც გაგრძელდა ბლეზ პასკალის, ჰ.გროციუსის, ჯ.ვიკოს, თ,ჰობსის, ჯ.ლოკის, შ.მონტესკიეს, ფ.ვოლტერის, კ.ჰელვეციუსის, ჰ.ჰოლბახის, ა.ტიერის, ფ.გიზოს, ფ.მინიეს, გ.ჰეგელის, თ.კარლაილის, კ.მარქსის, ფ.ნიცშეს, ლ,ტროცკის, ვ.პლეხანოვის, ზ.ფროიდის, ო.რანკის, ა.ადლერის, გ.ლებონის და სხვათა ნაშრომებში. თომას კარლაილმა და XIX საუკუნის კონსერვატიული რომანტიზმის წარმომადგენლებმა წამოაყენეს ისტორიული პროცესის ინდივიდუალისტურ - ვოლუნტარისტული გაგება. თავად თ.კარლაილი მოგვევლინა "გმირების კულტის" მქადაგებლად. მისი აზრით, გმირი ღვთაებრივი წინასწარდასახულობის მატარებელი და ისტორიული პროცესის სულიერი შემოქმედია - ისტორიას ქმნიან გამოჩენილი ლიდერები, "ხალხთა მასები მხოლოდ ფონია ლიდერობისათვის. ისტორიული აქტივობა ყოველთვის დიდი ლიდერისგან მომდინარეობს".[17]

თავის წიგნში "გმირები და გმირობა ისტორიაში", თ.კარლეილი წერდა: "მსოფლიო ისტორია იმის ისტორიაა, თუ რა მოიმოქმედა ადამიანმა ამ ქვეყანაზე. ჩემი გაგებით, არსებითად ეს არის ისტორია დიდი ადამიანებისა, რომლებიც აქ, დედამიწაზე იღწვოდნენ".[18] მათ მოღვაწეობას კარლეილი განიხილავდა, როგორც ისტორიის სულსა და გულს. თ.კარლეილის ნააზრევის ზოგიერთი ასპექტი შეიძლება შევადაროთ ფრიდრიხ ნიცშეს იდეას "ზეკაცის" (ზეადამიანის) შესახებ.

XX საუკუნეში ცნობილმა ავტორებმა შექმეს ნაშრომები, რომელთა ცალკეული თავები, თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ღირებულებების მქონეა პოლიტიკური ლიდერობის კვლევაში. ესენია: "მ.ვებერი, უ.ლიპმანი, ხ.ორტეგა ი გასეტი, რ.დალი, გ.ლასუელი, ჩ.მილსი, იურ.ჰაბერმასი, ფ. ჰაიეკი, მ.ჯილასი, ჰ.არენდტი, ჟ.ბლონდელი, რ.თაკერი, კ.კლენკე, გ.გიუნტერი, რ.ჰეიფიცი, დ.დეიჯი, ბ.კოლერმანი და სხვ.

მკვევართა გარკვეული ნაწილი სწავლობდა

12 ბუცხრიკიძე ავთანდილ, ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა, ქუთაისი. 2008 გვ.105
13 შუბითიძე ვაჟა, ქოჩორაძე ოთარი, პოლიტოლოგია, თბ. 2001 გვ.31
14 ბუცხრიკიძე ავთანდილ, ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა, ქუთაისი. 2008 გვ.110
15 ბუცხრიკიძე ავთანდილ, ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა, ქუთაისი. 2008 გვ.111
16 ნიკოლო მაკიაველი, მთავარი, თბ; 1984 გვ.75
17 Карлеил Т. Герои и героическое в истории, СВБ, 1891 с. 1-2
18 Карлеил Т. Герои и героическое в истории, СВБ, 1891 с.3

პოლიტიკური ლიდერობის ტიპოლოგიას (მ.ვებერი, რ.თაკერი, ჩ.ბერდი, რ.შვარცენეგერი, ლ.უმანსკი), ხოლო ხელისუფლების ინსტიტუციურობის ასპექტებს აანალიზებდნენ მ.ვებერი, რ.დალი, გ.ალმონდი, პ.შარანი, ვ.გელმანი და სხვები.

რაც შეეხება საქართველოში პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის კვლევას, იგი დაიწყო 1990-იან წლებში. პირველი დისერტაციის და წიგნის ავტორი გახლავთ პროფესორი ავთანდილ ბუცხრიკიძე, რომელმაც 1996 წელს გამოსცა წიგნი სახელწოდებით "პოლიტიკური ლიდერობა", ხოლო 2008 წელს "ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა". თავის მონოგრაფიაში "რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს" პოლიტიკურ ლიდერს და მისი იმიჯი შემქნას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო პროფესორმა ვაჟა შუბითიძემ (2000წ.), ისევე როგორც თავის სხვა ნაშრომებში. პოლიტიკური ლიდერობის ცალკეულ ასპექტებს შეეხნენ პროფესორები ო.გოგიაშვილი, ქ.ჯიჯეიშვილი, ი.კვესელავა, თ.კიკნაძე, ლ.ნიკოლეიშვილი, კ.კოპალიანი, გ.აბესაძე, ა.ტუკვაძე, მ.ბიჭაშვილი, ი.უბილავა და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შუბითიძე ვაჟა, ქოჩორაძე ოთარი, პოლიტოლოგია, თბ. 2001.
2. ბუცხრიკიძე ავთანდილ, ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა, ქუთაისი. 2008.
3. Blondel J. Political Leadership, N.Y. 1977.
4. პოლიტოლოგიის საკითხები, თსუ, N1, 1992.
5. ბუცხრიკიძე ავთანდილ, ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა, ქუთაისი. 2008.
6. ჰეროდოტე ისტორია, 2 ტომად, თბ. 1975-76წ.
7. პლუტარქე, რჩეული ,პარალელური ბიოგრაფიები, 2 წიგნად, თბ; 1975.
8. ნიკოლო მაკიაველი, მთავარი, თბ; 1984.
9. მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები, ტ.1 თბ, 1964.
10. ბუცხრიკიძე ავთანდილ, ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა, ქუთაისი. 2008.
11. Карлеил Т. Гер0и и героическое в истории, СВБ, 1891.